

ნანა მაჭავარიანი

**„მერცხალი“ ლექსება ენათმეცნიერულ ლიტერატურაში და ამ სიტყვის ეტიმოლოგიის კიდევ ერთი ცდა**

ქართული ენის განმარტებით ლექსიკონში ლექსება „მერცხალი“ განმარტებულია შემდეგნაირად: „პატარა სწრაფი ფრინველი. აქვს გრძელი, წაწვეტებული ფრთები და მაკრატელივით ბოლო“.

მეგრულში ამ ფრინველის სახელწოდებაა **მაჭირხოლი** || **მარჭიხოლი**, სვანურში კი **შდაჟალ**.

ამჟამად მერცხალი / მაჭირხოლი ქართულ ენათმეცნიერულ ლიტერატურაში ცნობილია, როგორც ერთი ამოსავალი ლექსემის ორი ფონეტიკური ვარიანტი, ხოლო სიტყვის სახელდების მოტივაციად მიჩნეულია ხმაბაძვა.

აღნიშნული ლექსემის ეტიმოლოგიზაციის ისტორია ასეთია:

თავდაპირველად ქართულ „მერცხალ“ ლექსემას ნიკო მარი უკავშირებდა „მეხს“, „მეყსეულს“, „წამიერს“, „უეცარს“, ხოლო მეგრულ „მარჭიხოლს“ კი „ვარსკვლავს“ (მარი 1909, 1158).

1918 წელს მარი შენიშნავდა, რომ „ციალი და მერცხალი წარმოდგარია ერთი და იმავე ძირიდან“ (მარი 1918, 2097).

1922 წელს მარი ასკვნის: „martiqol „მერცხალი“ და „ვარსკვლავი“ ერთი ძირისაა; ეს სახელდობრ „ვარსკვლავი“; მისი ფუძე martq // marsk // varsk, ისევე, როგორც mask // vask, აღნიშნავს „ვარსკვლავს“... მურიცქი „ვარსკვლავი“ იმავე marsk-ისა და მისი ფონეტიკური ვარიანტების დიალექტური სახესხვაობაა და ესეც აღნიშნავს „ვარსკვლავსა“ და ფუძეს სიტყვის „მერცხალი“ (მარი 1922, 42).

ამგვარია ქართული „მერცხალი“ და მეგრული „მაჭირხოლი“ სიტყვის ნ. მარისეული ეტიმოლოგია.

ერთმანეთისაგან დამოუკიდებლად აღნიშნული სიტყვის ერთნაირ ეტიმოლოგიას გვთავაზობენ გ. ა. კლიმოვი და ტ. გუდავა.

**„მარჭიხოლ“** ფუძიდან თუ ამოვალთ, — წერს ტ. გუდავა, — ქართულში მისი ზუსტი ფონეტიკური შესატყვისი უნდა ყოფილიყო \*მერწიხალ-, სწორედ ეს აღდგენილი ფორმაა ამოსავალი ქართულისათვის; -რწიხ- მარცვალში ჩავარდნილია ი, ხოლო შემდგომ არაბუნებრივი **წხ** კომპლექსი შეცვლილია ბუნებრივი (ჰარმონიული) ცხ კომპლექსით: \*მერწიხალ > \*მერწიხალ > მერცხალ... ამგვარად, მერცხალი < მერწიხალი // მეწირხალი ეტიმოლოგიურად „მოჭიკჭიკეს“ (**რწიხ** // **წირხ**) ხმის გამომცემს ნიშნავს.

ფუძეში **-რწიხ-** / **-რჭიხ-** **რ** ფონეტიკურად განვითარებული შეიძლება იყოს. ან კიდევ ფუძის შიგნიდან წინ გადმოსმული (\*წირხ > რწიხ, ჭირხ > რჭიხ). უფრო ბუნებრივი თითქოს ეს უკანასკნელი შესაძლებლობა ჩანს. ამის

გათვალისწინებით: \*მე-წირხ-ალ > \* მე-რწიხ-ალ > \*მე-რწხ-ალ > მე-რცხ-ალ-. მეგრულში მარჭიხოლის გვერდით მართლაც გვაქვს მაჭირხოლიც (ზუგდიდურ კილოკავში). ი. ყიფშიძე თავის ლექსიკონში ძირითად ფორმად სწორედ **მაჭირხოლს** ასახელებს (გუდავა 1964, 144).

„ეს ხმაბაძვითი ფუძე წირხ-, განაგრძობს ტ. გუდავა, — (ქართ. **წირხ**-ის ბადალი) დღემდე გვხვდება მერცხლის ჭიკჭიკის აღსანიშნავად, მაგ. ხალხურ ლექსში:

მარჭიხოლი ჭირხოლია,  
სკანი ბუდე მუ ლოლია? —  
„მერცხალო მოჭიკჭიკევ,  
შენი ბუდე რა უყავ?“

სემანტიკური ანალოგიისათვის ტ. გუდავას მოჰყავს სომხ. წიწერნაკ „მე-რცხალი“, რომელშიც პირველად ფუძედ მიჩნეულია ხმაბაძვითი წარმოების **წერ** (გუდავა 1964, 145).

ამავე აზრისაა გ. ა. კლიმოვიც; „მერცხალს“ იგიც (მეგრ. „ჭირხინის“ საფუძველზე) „ჭიკჭიკის, ჟღერტულის“ მნიშვნელობის მქონე ზმნური ფუძიდან ნაწარმოებად თვლის, მე-, -ალ- აფიქსაციით და მაგალითად მოჰყავს „შომია მარჭიხოლი“ (კლიმოვი 1964, 155).

განხილული მოსაზრებანი სიტყვის წარმოშობის თაობაზე სამეცნიერო ლიტერატურაში გაზიარებულია:

„მერცხლის“ ტ. გუდავასაფუძვლად ეტიმოლოგიას მხარს უჭერს ფ. ერთელიშვილი: „მართებული ჩანს მოსახრება **მერცხალ // მარჭიხოლ** ფუძეთა თაობაზე, აღნიშნავს მკვლევარი, \*წირხ > რწიხ, ჭირხ > რჭიხ. **რ** ანლაუტში მართლაც მეტათეზისის შედეგი ჩანს. ქართულში გვაქვს კიდევ ამოსავალი ფუძე დაცული, მაგრამ ზანური „იერით“: ჭრიხვა — კრუხვა, ჭრიხინი — ჯოჯობთა და მისთანათა ვმიანობა (საბა)... (ერთელიშვილი 1970, 178).

სხვადასხვა ენებსა და მათ შორის ქართულშიც, ფრინველთა ხმაბაძვითი სახელწოდებანი მრავლადაა. ასეთი ხმაბაძვითი სახელები უმეტესად რედუპლიცირებულ ფუძეებიანია: კაჭკაჭი, გუგული, ჯოჯობი, კაკაბი, ღულღუნი (მტრედი), ოფოფი...

ფრინველთა სახლდებისას ხმაბაძვის გარდა, ცნობილია ნაირგვარი მოტივაცია;

ამ მოტივაციათაგან ერთ-ერთია ფიტონიმთა გამოყენება ზოონიმებში; მაგ.: მოლაღური (სარჯველაძე 1965, 39), ნიბლია, მაფშალია და სხვ.

არის შემთხვევები, როდესაც ფრინველის სახელწოდებაში გამოიყენება ცხოველის აღმნიშვნელი ლექსემა. ასეთია მაგ.: აფხაზური აჟუგს „მეცხალი“. ეს სიტყვა ზედმიწევნით ნიშნავს „ძროხის ჩიტს“.

ამის კვალობაზე, ხომ არ მომდინარეობს ქართული „მერცხალი“ ლექსემაც შინაური ოთხფეხა ცხოველის „ძროხის“ სახელწოდებისაგან?

სახელწოდების წარმოშობის ისტორია შემდეგნაირად გვესახება:

ძველ ქართულში დასტურდება ზროხა\*<sup>1</sup> — ზოგადი სახელი არს ყოველთა

\*<sup>1</sup> „ზროხა“ „ვეფხისტყაოსანში“ გვხვდება ორჯერ.

ზროხათა (საბა 1991, 286).

ზროხა-საგან ახალ ქართულში ბგერათა სუბსტიტუციის შედეგად მივიღეთ ძროხა.

აღნიშნულ ზროხა / ძროხა ლექსებში მე-ალ კონფიქსის დართვის შედეგად პროცესი უნდა წარმართულიყო ასე: \*მე-ზროხ-ალ-ი / \*მე-ძროხ-ალ-ი > \*მე-ძრხ-ალ-ი > მე-ცრხ-ალ-ი > მე-რცხ-ალ-ი.<sup>\*2</sup>. ო- ბგერის რედუქცია (სინკოპე) უნდა გამოეწვია -ალ ფორმანტს, ამავე დროს უნდა მომხდარიყო რ- ბგერის მეტათეზისი, ხოლო არაბუნებრივი ძხ კომპლექსი უნდა შეცვლილიყო ბუნებრივი (ჰარმონიული) ცხ კომპლექსით.

ჩვენთვის ამ ეტაპზე ბუნდოვანია მერცხლის სახელდების მოტივაციის საფუძველი აფხაზურსა და ქართულშიც...

შესაძლოა ეს სახელი ერქვა რომელიმე მერცხლის მსგავს სხვა ფრინველს, რომელიც ძროხებს მწერებისაგან ათავისუფლებს და შემდეგ მერცხალსაც დაერქვა?...

ან იქნებ ძროხათა სადგომზე იკეთებენ მერცხლები ბუდეს და ეს იყო სახელდების მოტივი?

ქართული „მერცხალი“ ლექსემის ეტიმოლოგიის ჩვენეული ინტერპრეტაცია თუ მართლაც შეეფერება ობიექტურ ვითარებას, გამოდის, რომ ერთისა და იმავე ჯგუფის ენებში სხვადასხვაგვარი მოტივაცია შეიძლება იყოს ერთი და იმავე ფრინველის „მერცხლის“ სახელდების საფუძველი;

მეგრულში სახელწოდება ხმაბაძვითია, ქართულში კი სახელდების საფუძველია ზოონიმი.

ასეთივე ვითარება დასტურდება აფხაზურ-ჩერქეზულ ენებშიც.

კერძოდ: თუ აფხაზურში მერცხლის სახელწოდებაში დასტურდება აჟ<sup>o</sup> „ძროხა“ ზოონიმი, ასე არ არის ადიღურში.

ადიღურში მერცხლის აღმნიშვნელია პწაშხო ლექსემა. ამ სიტყვას შავიროვი უკავშირებს პწა „შავი, მუქი ლურჯი“ ფერის აღმნიშვნელ ლექსემას და მიაჩნია, რომ სახელწოდების მოტივაცია არის ფრინველის ბუმბულის შეფერილობა.

უბიხურში მერცხლის აღსანიშნავად გამოიყენება წგრხნ, წგშხ'ნ / წაშხ'ნ, წაწაშხონ, როგორც ჩანს, ნასესხები ადიღურ ენათაგან. ადიღური წყაროდან მომდინარე უბიხურ წაშხონ, წგშხ'ნ ლექსემას აბდაკოვი უკავშირებს აფხაზურ-აბაზურ აჟოწგს სიტყვას და ფიქრობს, რომ უბიხური სახელდების წინა ნაწილი აჟოწგს იდენტურია აფხაზური ლექსემის მეორე ნაწილისა და ნიშნავს „ჩიტს“ (შავიროვი 1977, 50).

გამოდის, რომ ამ მხრივ აფხაზურიც ისეთსავე განსხვავებულ ვითარებას გვიჩვენებს აფხაზურ-ჩერქეზულ ენათაგან, როგორსაც ქართული ქართველურ ენა-კილოთაგან.

კერძოდ, აფხაზურსა და ქართულში ლექსემის სახელდების მოტივი ერთნაირი ჩანს.

\*2 „მერცხალი“ არ გვხვდება „ვეფხისტყაოსანში“.

## ლიტერატურა

- გუდავა 1964** — ტ. გუდავა, „მერცხალი“, იკვ. — XIV, თბილისი, 1964.
- ერთელიშვილი 1970** — ფ. ერთელიშვილი, ზმნური ფუძეების ფონეტიკური სტრუქტურისა და ისტორიის საკითხები ქართულში, თბილისი, 1970.
- კლიმოვი 1964** — Г. А. Климов, Этимологический словарь картвельских языков, Москва, 1964.
- მარი 1935** — Н. Я. Марр, Термин "скиф", Избр. работы, V, Москва-Ленинград, 1935.
- მარი 1909** — Н. Я. Марр, Яфетическое происхождение армянского слова маргარეყ "пророк", ИАН, С.-Петербург, 1909.
- მარი 1918** — Н. Я. Марр, Osetica japhetica, С.-Петербург, ИАН, 1918.
- საბა 1991** — სულხან-საბა ორბელიანი, ლექსიკონი ქართული I, თბილისი, 1991.
- სარჯველაძე 1965** — ზ. სარჯველაძე, ზანიზმები გურულში, გორის პედ. ინსტ.-ის შრომები, X, თბილისი, 1965.
- ქეგელ** — ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონი, თბილისი, 1986.
- შაგიროვი 1977** — А. К. Шагиров, Этимологический словарь Адыгских (Черкесских) языков, II, Москва, 1977.

NANA MACHAVARIANI

### A Lexeme *mercxali* "a swallow" in the Linguistic Literature and One More Attempt of its Etymology

#### S u m m a r y

The article deals with the viewpoint that Georgian lexeme *mercxali* "a swallow" must be originated through the adding of confix *me-al* to the lexeme *zroxaxroxa* ('four-legged domestic animal'): \**me-zrox-al-i* / \**me-zrox-al-i* > \**me-zrx-al-i* > *me-crx-al-i* > *me-rcx-al-i*.

Reduction (syncope) of *o*- sound must be resulted by *-al* formant, at the same time metathesis of *r*- sound must take place and unnatural *zx* complex must be changed into natural (harmonic) *cx* complex.